ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4775225

ნომერი: AR1718093

თარიღი : 21.11.2019

გაცემის თარიღი : 02.12.2019

გაცნობის თარიღი : 02.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა ნუცუბიძის ქუჩა N129ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი ქოროღლიშვილი პ/ნ 01019016394
- თბილისი ც.დადიანის ქ. II მ/რ კორ. 3 ბ. 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც
ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის IIIმ/რ, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N129ა-ში, შპს „ელიტ ოფისი“–ს
კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას წარმოდგენილი
კორექტირებული მონტაჟის მიხედვით.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი
მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს
მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას
ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად
სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი
საჯარო რეესტრიდან №892018990535 14/11/2018წ. საკადასტრო კოდი
№01.14.02.025.197.01.02.001, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით
დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის IIIმ/რ, შალვა ნუცუბიძის
ქუჩა N129ა-ში, შპს „ელიტ ოფისი“–ს
კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას წარმოდგენილი
კორექტირებული მონტაჟის მიხედვით.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.